

ინტერესთა კონფლიქტი, როგორც არბიტრის აცილების საფუძველი  
საარბიტრაჟო პროცესში

ქეთევან ხოსრიაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკელიძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ხოსრიაშვილი 25.06.2024

## სარჩევი

შესავალი	1
1. არბიტრაჟის დეფინიცია, ბუნება და მისი განვითარება	
საქართველოში	3
1.1 არბიტრაჟი, როგორც მხარეთა კერძო მართლმსაჯულების განხორციელების ფორმა	3
1.2 არბიტრაჟის ისტორია საქართველოში	5
1.2.1 „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი	5
1.2.2 „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი	6
1.2.3 „არბიტრაჟის შესახებ“ კანონში 2015 წელს განხორციელებული ძირეული ცვლილებები	8
2. არბიტრის აცილების პროცედურული რეგულირება ქართული კანონმდებლობის მიხედვით	10
2.1 არბიტრად დანიშვნამდე, არბიტრის გამჟღავნების ვალდებულება	10
2.2 არბიტრთა აცილება მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის მიხედვით	11
2.3 სასამართლოს როლი არბიტრის აცილების პროცესში	14
2.4 არბიტრთა აცილების ზოგადი საფუძვლები ქართულ კანონმდებლობაში	19
3. ინტერესთა კონფლიქტი საარბიტრაჟო პროცესში	24
3.1 ინტერესთა კონფლიქტის დეფინიცია და მათი სახეები	24
3.2 IBA გაიდლაინები საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი	26
3.2.1 წითელი სია	31
3.2.2 აცილებადი წითელი სია	32

3.2.3 ნარინჯისფერი სია	34
3.2.4 მწვანე სია	35
4. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და გამოწვევები	37
5. კვლევის მეთოდოლოგია	44
დასკვნა	46
ბიბლიოგრაფია	

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება საარბიტრაჟო პროცესში არბიტრის აცილებას ინტერესთა კონფლიქტის საფუძველით. ნაშრომის თანახმად, აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან არ არსებობს საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რაც არბიტრაჟის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოებაა. ნაშრომის მიზანია საარბიტრაჟო პროცესში ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, ნაშრომში ავტორი მსჯელობს არბიტრაჟის მნიშვნელობაზე საერთაშორისო კომერციულ თუ შიდასახელმწიფოებრივ ბიზნეს დავების გადაწყვეტაში. ნაშრომში სისტემურად გაანალიზებულია საქართველოში არბიტრაჟის განვითარების ისტორია, მისი ძირითადი პრინციპები, არბიტრის აცილების სამართლებრივი პროცედურები და სასამართლოს როლი ამ პროცესებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერესთა კონფლიქტს, როგორც არბიტრის აცილების ერთ-ერთ საფუძველს. საკვლევ თემასთან დაკავშირებით მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურა და სასამართლო გადაწყვეტილებები, განმარტებულია არბიტრის აცილების საერთაშორისო სახელმძღვანელო წესები. კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნა როგორც შედარებითსამართლებრივი, ასევე თვისებრივი და დოქტრინალური კვლევის მეთოდები.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ფორმალურად სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, სასამართლო პრაქტიკა მაინც არაერთგვაროვანია, რაც ავტორის აზრით საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველია. ავტორი პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზას ხედავს მხარისათვის სასამართლოს მიერ მიღებული არბიტრის აცილების ან არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის შესახებ განჩინების გასაჩივრების უფლების მინიჭებაში.

ძირითადი საკვანძო სიტყვები - არბიტრაჟი; საარბიტრაჟო შეთანხმება; არბიტრის აცილება; ინტერესთა კონფლიქტი; მხარეთა კერძო ავტონომია;

## Abstract

The main theme of this thesis is about challenging an arbitrator in the arbitration process on the basis of conflict of interest. According to the work, the mentioned issue is quite an actual problem, since there is no uniform judicial practice, which is one of the main reasons for the underdevelopment of arbitration. The purpose of the research is to identify problems related to conflicts of interest in the arbitration process and to develop further recommendations.

Based on the analysis of various authors' opinions and analysis of legal practices, the author discusses the importance of arbitration in the resolution of international commercial or domestic business to business disputes. The paper systematically analyzes the history of the development of arbitration in Georgia, its main principles, the legal procedures for challenging the arbitrator and the role of the court in these processes. Special attention is paid to the conflict of interest as one of the grounds for challenging the arbitrator. In relation to the research topic, the scientific literature and court decisions were reviewed, and the international guidelines for arbitrator challenge are explained. In order to achieve the goals of the research, comparative legal, qualitative and doctrinal research methods were used.

As a result of the conducted research, it was determined that although the legal framework of Georgia is formally fully in line with international standards, the judicial practice is still diverse, which is basis for legislative reforms. According to the author, the best way to solve this problem in by giving the party the right to appeal court's decision about challenging the arbitrator or declaring the arbitral tribunal incompetent.

Key terms: arbitration; arbitration agreement; challenge of arbitrator; conflict of interest; party autonomy.